საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №26/ნ

2025 წლის 27 მაისი

ქ. თბილისი

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.017693, 12/04/2019) დამტკიცებული ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ (დანართი №2):

ა) მე-3 მუხლით გათვალისწინებული დეტალური სფეროს „მემცენარეობა და მეცხოველეობა Crop and Livestock Production“ (კოდი – 0811):

ა.ა) მე-2 სვეტში არსებული ჩანაწერი „0811.2.3 მეცხოველეობა Animal Husbandry“ ამოღებულ იქნეს;

ა.ბ) პირველ სვეტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ჩანაწერი:

„0811.1.2 მეცხოველეობა Animal Husbandry“;

ბ) მე-4 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის სწავლის სფეროს „022-023 ჰუმანიტარული მეცნიერებების“ სვეტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 0221-0229 და 0231-0239 დეტალურ სფეროებში შემავალი სწავლის სფეროს (გარდა ქვემოთ მითითებული გამონაკლისისა) შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელებების ფორმულირებები:

ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

Bachelor of Arts (BA) – Field of study

ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

Master of Arts (MA) – Field of study

ან

ბ) ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

Bachelor – Field of study

მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

Master – Field of study.

2. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 0231

დეტალურ სფეროში 0231.2.1 კოდით გათვალისწინებული სწავლის სფეროს (ლექსიკოგრაფია Lexicography) კვალიფიკაციის დასახელების ფორმულირებები:

ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

Bachelor of Arts (BA) – Field of study

ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

Master of Arts (MA) – Field of study

ან

ბ) ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

Bachelor – Field of study

მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

Master – Field of study

ან

გ) ევროპული მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით

European Master – Field of study.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **ალექსანდრე წულაძე**
მინისტრი